თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2023 წლის 14 თებერვალი

ქ. თერჯოლა

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, აგრეთვე ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართთველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

,,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში (ვებგვერდი სსმ, 22/12/2022 სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.126.016391) შეტანილ იქნეს ცვლილება და თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

თავი I

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2021წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	19 548,9	**28 608,8**	**15 693,3**	**12 915,5**	**23 193,3**	**16 740,0**	**6 453,3**
გადასახადები	11 858,0	**13 932,5**	13 932,5	-	**14 942,0**	14 942,0	-
გრანტები	6 880,7	**13 715,5**	800,0	12 915,5	**7 353,3**	900,0	6 453,3
სხვა შემოსავლები	810,2	**960,8**	960,8	-	**898,0**	898,0	-
II. ხარჯები	**11 980,8**	**16 409,7**	**14 933,4**	**1 476,3**	**18 642,7**	**16 237,0**	**2 405,7**
შრომის ანაზღაურება	1 880,2	**2 915,1**	2 814,3	100,8	**3 521,7**	3 341,7	180,0
საქონელი და მომსახურება	2 043,2	**2 941,2**	1 741,2	1 200,0	**3 328,7**	1 813,0	1 515,7
პროცენტი	30,0	**28,7**	28,7	-	**32,0**	32,0	-
სუბსიდიები	6 673,7	**8 551,0**	8 472,0	79,0	**9 698,0**	9 543,0	155,0
გრანტები	11,0	16,3	16,3	-	20,0	20,0	-

სოციალური უზრუნველყოფა	999,5	**998,1**	997,9	0,2	**873,0**	848,0	25,0
სხვა ხარჯები	343,2	**959,3**	863,0	96,3	**1 169,3**	639,3	530,0
III. საოპერაციო სალდო	**7 568,1**	**12 199,1**	**759,9**	**11 439,2**	**4 550,6**	**503,0**	**4 047,6**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**7 387,8**	**10 106,5**	**1 423,6**	**8 682,9**	**8 206,5**	**1 325,4**	**6 881,1**
ზრდა	**7 778,3**	**10 415,3**	1 732,4	8 682,9	**8 506,5**	1 625,4	6 881,1
კლება	**390,5**	**308,8**	308,8		**300,0**	300,0	
V. მთლიანი სალდო	**180,3**	**2 092,6**	**- 663,7**	**2 756,3**	**- 3 655,9**	**- 822,4**	**- 2 833,5**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**- 675,1**	**2 034,6**	**- 721,7**	**2 756,3**	**- 3 713,9**	**- 880,4**	**- 2 833,5**
ზრდა	**-**	**-**	**-**	-	**-**	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	**-**	**-**			**-**		
სესხები	**-**	**-**			**-**		
აქციები და სხვა კაპიტალი	**-**	**-**			**-**		
კლება	**675,1**	**- 2 034,6**	**721,7**	- 2 756,3	**3 713,9**	880,4	2 833,5
ვალუტა და დეპოზიტები	**675,1**	**- 2 034,6**	**721,7**	- 2 756,3	**3 713,9**	880,4	2 833,5
სესხები	**-**	**-**			**-**		
აქციები და სხვა კაპიტალი	**-**	**-**			**-**		
VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 58,0**	**- 58,0**	**- 58,0**	**-**	**- 58,0**	**- 58,0**	**-**
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
საშინაო	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-			-		
სხვა	-	-			-		
საგარეო	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-	-			-		
სხვა	-	-			-		
კლება	**58,0**	58,0	**58,0**	-	**58,0**	58,0	-
საშინაო	**-**	-	**-**	-	**-**	-	-
სესხები	**-**	-			**-**		
სხვა კრედიტორული დავალიანებები	**-**	-			**-**		
საგარეო	**58,0**	58,0	58,0	-	58,0	58,0	-
სესხები	**58,0**	58,0	58,0	-	58,0	58,0	-

სხვა	-	-			-		
VIII. ბალანსი	**-**	**-**	**0,0**	**-**	**-**	**0,0**	**-**

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	**2021 წლის ფაქტი**	**2022 წლის ფაქტი**			**2023 წლის გეგმა**		
	სულ	**სულ**	**მათ შორის**		**სულ**	**მათ შორის**	
			საკუთარი შემოსავლები	**სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები**		**საკუთარი შემოსავლები**	**სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები**
შემოსულობები	**19 939,4**	**28 917,6**	**16 002,1**	**12 915,5**	**23 493,3**	**17 040,0**	**6 453,3**
შემოსავლები	19 548,9	28 608,8	15 693,3	12 915,5	23 193,3	16 740,0	6 453,3
არაფინანსური აქტივების კლება	390,5	308,8	308,8		300,0	300,0	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-			-		
ვალდებულებების ზრდა	-	-			-		
გადასახდელები	**19 817,1**	**26 883,0**	**16 723,8**	**10 159,2**	**27 207,2**	**17 920,4**	**9 286,8**
ხარჯები	11 980,8	16 409,7	14 933,4	1 476,3	18 642,7	16 237,0	2 405,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	7 778,3	10 415,3	1 732,4	8 682,9	8 506,5	1 625,4	6 881,1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-			-		
ვალდებულებების კლება	58,0	58,0	58,0	-	58,0	58,0	-
ნაშთის ცვლილება	**122,3**	**2 034,6**	**- 721,7**	**2 756,3**	**- 3 713,9**	**- 880,4**	**- 2 833,5**

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 23193.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	**2021 წლის ფაქტი**	**2022 წლის ფაქტი**			**2023 წლის გეგმა**		
	სულ	**სულ**	**მათ შორის**		**სულ**	**მათ შორის**	
			საკუთარი შემოსავლები	**სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები**		**საკუთარი შემოსავლები**	**სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები**
შემოსავლები	**19 548,9**	**28 608,8**	**15 693,3**	**12 915,5**	**23 193,3**	**16 740,0**	**6 453,3**
გადასახადები	11 858,0	13 932,5	13 932,5	-	14 942,0	14 942,0	

გრანტები	6 880,7	13 715,5	800,0	12 915,5	7 353,3	900,0	6 453,3
სხვა შემოსავლები	810,2	960,8	960,8		898,0	898,0	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 14942.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	**11 858,0**	**13 932,5**	**13 932,5**	**-**	**14 942,0**	**14 942,0**	**-**
საშემოსავლო გადასახადი	-	-			-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	9 273,4	11 470,0	11 470,0		12 642,0	12 642,0	
ქონების გადასახადი	2 584,6	2 462,5	2 462,5	-	2 300,0	2 300,0	
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 841,9	1 908,6	1 908,6		1 880,0	1 880,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	290,8	65,7	65,7		-		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	32,0	29,5	29,5		20,0	20,0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	91,7	96,2	96,2		70,0	70,0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	328,2	362,5	362,5		330,0	330,0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 7353.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
გრანტები	**6 880,7**	**13 715,5**	**7 353,3**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები			
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	6 880,7	13 715,5	7 353,3
სპეციალური ტრანსფერი (ფინანსური დახმარება)		600,0	900,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	703,9	1 301,6	1 835,7

კაპიტალური ტრანსფერი	6 176,8	11 268,9	4 087,6
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის	5 440,0	10 482,6	3 397,6
სკოლების სარეაბილიტაციო ღონისძიებები	46,8	96,3	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	690,0	690,0	690,0
სპეციალური ტრანსფერი **მათ შორის** :	-	545,0	530,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე		545,0	530,0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 898.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	**2021 წლის ფაქტი**	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის გეგმა**
სხვა შემოსავლები	**810,2**	**960,7**	**898,0**
შემოსავლები საკუთრებიდან	479,3	537,5	538,0
პროცენტი	133,6	156,9	150,0
რენტა	345,7	380,6	388,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	118,3	142,7	160,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	102,1	127,9	145,0
სანებართვო მოსაკრებელი	18,8	12,3	15,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი			
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი		0,6	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	83,3	115,0	130,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	16,2	14,8	15,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	118,2	171,9	170,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	94,4	108,6	30,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 18642.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	**2021 წლის ფაქტი**	**2022 წლის ფაქტი**			**2023 წლის გეგმა**		
		სულ	**მათ შორის**		**სულ**	**მათ შორის**	

			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	**11 980,8**	**16 409,7**	**14 933,4**	**1 476,3**	**18 642,7**	**16 237,0**	**2 405,7**
შრომის ანაზღაურება	1 880,2	2 915,1	2 814,3	100,8	3 521,7	3 341,7	180,0
საქონელი და მომსახურება	2 043,2	2 941,2	1 741,2	1 200,0	3 328,7	1 813,0	1 515,7
პროცენტები	30,0	28,7	28,7	-	32,0	32,0	-
სუბსიდიები	6 673,7	8 551,0	8 472,0	79,0	9 698,0	9 543,0	155,0
გრანტი	11,0	16,3	16,3	-	20,0	20,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	999,5	998,1	997,9	0,2	873,0	848,0	25,0
სხვა ხარჯები	343,2	959,3	863,0	96,3	1 169,3	639,3	530,0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვოროს 8206.5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 8506.5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 300.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხევით	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**8,3**	**233,9**	**247,0**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	8,3	233,9	247,0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**7 200,8**	**8 177,0**	**7 170,4**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5 394,9	4 972,2	2 727,6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	482,1	1 227,5	1 542,8
02 03	გარე განათება	9,4	9,8	20,0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	357,2	1 015,4	1 910,0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	700,0	650,5	650,0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	257,2	301,6	320,0
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**65,7**	**164,1**	**-**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	65,7	164,1	-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
04 00	**განათლება**	**565,5**	**1 829,7**	**1 084,1**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	231,3	25,2	-
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	284,4	1 795,5	1 084,1
04 03	საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	46,8	-	-
04 04	სკოლისგარეშე განათლება	3,0	9,0	-

05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**12,8**	**10,6**	**-**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2,8	6,1	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	10,0	4,5	-
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**-**	**-**	**5,0**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	-	-	5,0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	**7 853,1**	**10 415,3**	**8 506,5**

ათას ლარში

დასახელება	**2021 წლის ფაქტი**	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის გეგმა**
არაფინანსური აქტივების კლება	**390,5**	**308,8**	**300,0**
მირითადი აქტივები	44,8	99,8	100,0
არაწარმოებული აქტივები	345,7	209,0	200,0
მიწა	345,7	209,0	200,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	**დასახელება**	**2021 წლის ფაქტი**	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის გეგმა**
7.1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**2 806,2**	**4 201,9**	**4 956,0**
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 718,2	4 115,2	4 866,0
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 718,2	4 115,2	4 815,0
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	-	51,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	88,0	86,7	90,0
7.2	**თავდაცვა**	**104,2**	**161,6**	**185,0**
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	104,2	161,6	185,0
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**5 394,9**	**5 287,1**	**2 727,6**
7.4 5	ტრანსპორტი	5 394,9	5 287,1	2 727,6
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 394,9	5 287,1	2 727,6
7.5	**გარემოს დაცვა**	**2 436,4**	**2 946,5**	**2 650,0**
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2 436,4	2 946,5	2 650,0

7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	**2 367,8**	**4 058,1**	**5 737,8**
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	382,8	1 171,0	2 490,0
7.6 3	წყალმომარაგება	631,6	1 420,1	1 762,8
7.6 4	გარე განათება	396,2	450,4	450,0
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	957,2	1 016,6	1 035,0
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**	**88,6**	**127,5**	**160,0**
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	88,6	127,5	155,0
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	-	-	5,0
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**1 382,0**	**1 924,9**	**2 105,0**
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	456,8	603,7	700,0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	829,6	1 053,8	1 245,0
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	55,0	55,0	65,0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40,6	212,4	95,0
7.9	**განათლება**	**3 981,1**	**6 819,5**	**7 385,8**
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	3 181,1	5 348,2	5 590,1
7.9 2	ზოგადი განათლება	800,0	1 471,3	1 795,7
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	800,0	1 471,3	1 795,7
7 10	**სოციალური დაცვა**	**1 255,9**	**1 355,9**	**1 300,0**
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 255,9	1 355,9	1 300,0
	სულ	**19 817,1**	**26 883,0**	**27 207,2**

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 4550.6 ათასი ლარით, ხოლო მთლიანი სალდო -3655.9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	**2021 წლის ფაქტი**	**2022 წლის ფაქტი**	**2023 წლის გეგმა**
საოპერაციო სალდო	7 568,1	12 199,1	4 550,6
მთლიანი სალდო	180,3	2 092,6	- 3 655,9

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 3713.9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	**- 675,1**	**2 034,6**	**- 3 713,9**
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	675,1	- 2 034,6	3 713,9
ვალუტა და დეპოზიტი	675,1	- 2 034,6	3 713,9

ფინანსური აქტივების კლება 3713.9 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო არნგარიშზე არსებულ ნაშთს (ადგილობრივი შემოსავლები 880.4 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 2833.5 ათას ლარს). აქედან: გასანაწილებელი ნაშთია 330.0 ათასი ლარი და მიმდინარე ვალდებულებებია 3383.9 ათასი ლარი, რომლის გამოყენებაც მოხდება 2023 წლის განმავლობაში.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს - 58.0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016 წელს მიღებული სესხის დაფარვას. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 223.9 ათას ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 165.9 ათასი ლარი.

თავი II

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 8465,4ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**8465,4**
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	2727,6
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1762,8
02 03	გარე განათება	450.0
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2490,0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	700,0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	335,0

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითერბისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. აღდგენა- რეაბილიტაცია, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების კაპიტალური შეკეთება. კერძოდ მოხრეშვა-მოშანდაგება, ნაწილობრივ ასფალტო ფენილის გზების დაგება, არსებული ხიდების შეკეთება და რეაბილიტაცია.

1.1 გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი (პროგრამული კოდი 02 01)

აღწერა: საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოტაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებიას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2017,4 ათასი ლარი. რომლითაც დაფინანსდება შმდეგი პროექტები: თერჯოლა-ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 472,1 ათასი ლარი. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 285,0 ათასი ლარი. ავტობანიდან ბარდუბნის ადმინისტრაციულ ერთეულამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე გამოყოფილია 266,0 ათასი ლარი. თერჯოლის რაიონ სოფელ კვახჭირში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 266,0 ათასი ლარი. სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა / რეაბილიტაციაზე გამოყოლფილია 266,0 ათასი ლარი. თერჯოლის რაიონი სოფ. ქვ. ალისუბანი ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 266,0 ათასი ლარი. ძევრი ჩხარიეწერთან დამაკვშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 196,3 ათასი ლარი.

მიზანი: მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაგზის, ქუჩების, სანიაღვრე არხების, საყრდენი კედლების, ბოგირების, ხიდების რეაბილიტაცია, გზების ორმული დამუშავება. მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა.

1.2 წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

აღწერა: ქალაქ თერჯოლის გარდა 18 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება წლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შეძენილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიბები:

- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;
- ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;
- საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შეძენა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1380,2 ათასი ლარი. რომლითაც დაფინანსდება შმდეგი პროექტები:სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მშენებლობაზე გამოყოფილია 810,2 ათასი ლარი და სოფ. ჩხარის ცენტრალურ წყალსადენში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით სათავე რეზერვუარისა და მიმწოდებელი მაგისტრალის მოწყობის სამუშაობზე გამოყოფილია 570,0 ათასი ლარი.

მიზანი: წყლის სისტემის აღდგენა შეკეთება, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა

დროულად.

1.3 გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03)

აღწერა: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოტაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. თერჯოლაში და18 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 40%. გარე განათების სისტემა მოიცავს 4258-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს 4530 ზე მეტ სანათ წერტილს, 5465 გრძივ მეტრზე მეტრ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 450,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას.

გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორ კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიბებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას).

ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოტაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.

2023 წლის ბიუტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოტაციაზე. ექსპლოტაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.

მიზანი: პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი,სადაც მოწყობილია გარე განთება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოიფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარეგანათებით.

1.4 კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 04)

აღწერა: მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

2021-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს დაფინანსება, ტურისტებისათვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ ძევრში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 1200.0 ათასი ლარით და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზაციის მოზნით, ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული ღია ამფითეატრისა, მის მიმდებარედ არსებული

შენობა- ნაგებობების ფასადებისა და სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია 568,6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 530.0 ათასი ლარი.

მიზანი: მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა–ნაგებობების მდგომარეობის გაუმჯობესება.

1.5 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 05)

აღწერა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები: სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის: ჭაბურღილები, წყალსადენები, ჭა, და ა.შ გაწმენდებით, წყაროების მოპირკეთება, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი სამუშაოები. გზები; გზისპირა მოსაცდელები, ცხაურები, ხიდები, ხიდბოგირები, გადასასვლელები. გარე განათება; სკოლების მიმდინარე ტერიტორიების კეთილმოწყობა:; სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი; ამბულატორიის შენობები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი; სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით; წისქვილის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი; მინი ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით გამოყოფილია დაფინანსება 690.0 ათასი ლარი.

მიზანი: გზების კაპიტალური შეკეთება, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

1.6 საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 06)

აღწერა: საამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

მიზანი:ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს).

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 01)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2650.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2650.0**
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	2650.0

2.1 დასუფთავება და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01)

აღწერა: ქუჩების, მოედნების, სკვერების, შენობების საზოგადოებრივი ადგილების დარგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება, გაუნებელყოფა -განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება. ქუჩების, სკვერების და პარკების მოვლა- პატრონობა და გამწვანება, გარე განათების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და რეგურილება.სანიაღვრე არხების მოწყობა და სრულფასოვნად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიის, ტროტუარების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის, შეკეთების და ექსპლოატაციიის უზრუნველყოფა,საუბნო გზების მოწყობა ინერტული მასალით, ბოგირების, ცხაურების მოწყობა, მოვლა- პატრონობა.წყლის მომარაგების/ ტექნიკური წყალი/ სისტემის შეკეთებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება-მშენებლობა, ზამთრის სეზონზე ქუჩების და ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სუფთა მოწესრიგებული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული დასუფთავებული ტერიტორია, მუნიციპალიტეტის იერ- სახის გაუმჯობესება, გარე განათების გამართული ქსელი.

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7325,1 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
04 00	**განათლება**	**7385,8**
04 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	4506,0
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	141,0
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	4365,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1084,1
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1480,7
04 04	სკოლისგარეშე განათლება	315,0

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა, სკოლამდელი განათლების

გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლებას.

3.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01 01)

აღწერა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. თერჯოლისმუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

მიზანი: თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.

3.2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტში სულ 1500 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 26 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 1300 ბავშვის სწავლება,ხოლო 200 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი ,, მოიცავს ცენტრის 26 საბავშვო ბაგა–ბაღს სადაც ფუნქციონირებს 54 საამღზრდელო ჯგუფი, 477 თანამშრომლით. მათ შორის 93 აღმზრდელია და 92 აღმზრდელის თანაშემწე. სააღმზრდელო პროცესს გადის 938 სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელი, აქედან გოგო 455 და ბიჭი 483.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად 2023 წლისათვის იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში დახვეწილი მართვის პოლიტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების და სწავლების მეთოდების შესწავლა, დახვეწას: მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო,შენობა, ინვენტარი და სხვა) მოწესრიგება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

მიზანი: ჰარმონიულად განვითარებული და დაწყებითი საფეხურის პირველი კლასისათვის მომზადებული ბავშვები.

3.3 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ახალი ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან ასევე შენდება ქალაქ თერჯოლის მესამე საბავშვო ბაღი, რომელზეც მიმდინარე წელს დაიხარჯება 1056,7 ათასი ლარი.

მიზანი: რეაბილიტირებული საბავშო ბაღები, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

3.4. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 04 03)

აღწერა: ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

მიზანი: პროგრამის განხორციელების შედეგია სკოლის მოსწავლეებისათვის საშუალო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ბავშვებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა.

3.5 სკოლისგარეშე განათლება (პროგრამული კოდი 04 04)

აღწერა: ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახლგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, არის არაფორმალური სკოლისგარეშე საგანმანათლებო დაწესებულება, რომელიც ემსახურება 6-21 წლამდე მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომლის ფუნდამენტური პრინციპია ნებაყოფლობითობა და ხელმისაწვდომობა, რაც სათანადო პირობების შესაბამისი სტრატეგიული, პერსპექტიული გეგმებით, პროგრამებით და ქვეპროგრამებით ხორციელდება,პროგრამული ბიუჯეტიდან გამომდინარე 2021-22 სასწავლო წელს ,,ცენტრში'' მუშაობდა 4 ქვეპროგრამა, რომელშიც გაერთიანებული იყო 26 კლუბი და წრე . სასწავლო წლის პროგრამული ბიუჯეტი დაგეგმილი და ორიენტირებული იყო ,,ცენტრში'' მოსწავლეთა ჩართულობის 20 % ზრდასა და მუშაობის ხარისხის კოეფიციენტის ამაღლებაზე, რასაც ,,ცენტრმა'' წარმატებით გაართვა თავი, მოსწავლეთა რაოდენობა-462, აქედან გოგო 279 და 183 ბიჭი. სასაწავლო-შემოქმედებით მუშაობაში ჩართულობა გაიზარდა 20%-ით. შეფასდა ხარისხის მაჩვენებელი, სასწავლო პროცესში შესაბამისი ინდიკატორებით ცალკეულ კლუბებსა და წრეებში, რაც აისახა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ,,ცენტრის'' მუშაობის შეფასებისას, რომელსაც საფუძვლად დაედო,კოორდინატორთა, მენეჯერთა, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშები, შეფასებები. მოსწავლეთა აქტიური, წარმატებული მუშაობა შესაბამისად აისახა სტატისტიკაშიც, წლის განმავლობაში მოსწავლეთა ცენტრში დიპლომებით, სიგელებით 203 ფასიანი საჩუქრებით (წიგნები) დაჯილდოვდა 50 მოსწავლე.

მიზანი: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლეების ხელშეწყობა , მოსწავლეთათვის საინტერესო, სასწავლო-შემეცნებითი და გასართობი ატმოსფეროს შექმნა, პროგრამების, აქტივობების, ღონისძიებების განხორციელებაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, მათი უნარების, შემოქმედებითი ნიჭის, პოტენციალის რეალიზებისათვის სათანადო გარემოს შექმნა, ინიციატივების, წამოწყებების მხარდაჭერა. საბაზისო ცოდნის მიწოდება და საზოგადოებაში ინტეგრირების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2105.0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**2105,0**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	700,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	20,0
05 01 02	სპორტული სკოლა	680,0
05 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1245,0
05 02 01	სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	244,0

05 02 02	სახელოვნებო სკოლები	273,0
05 02 03	ბიბლიოთეკები	205,0
05 02 04	კულტურის სახლები	435,0
05 02 05	მუზეუმები	88,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	30,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეყწობა	65,0
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	65,0

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. სხვადასხვა ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართვა.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

4.1. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება

მიზანი: პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.

4.2. სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

აღწერა: სპორტული ცენტრი აერთიანებს 13 სპორტულ მიმართელებას, ესენია: ფეხბურთი (75 ბავშვი);სამბო(24 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (12 ბავშვი);თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (57 ბავშვი); ძიუდო(36 ბავშვი);რაგბი (40 ბავშვი); ტანვარჯიში (18 ბავშვი);უშუ(11 ბავშვი);კინგბოქსი(13 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (24 ბავშვი); ხრიდოლი (8 ბავშვი); ჭადრაკი (41 ბავშვი); კალათბურთი (18 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 370 ბავშვი აქედან გოგო 68 და ბიჭი 310. რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. . ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

მიზანი: სპორტული გუნდების შევსება ახალგაზრდა სპორტსმენებით; აღსაზრდელთა ჩართულობის ზრდა სპორტულ ცხოვრებაში; აღსაზრდელთა სპორტული მიღწევების ზრდა; სხვადასხვა სპორტის სახეობებში ტალანტების გამოვლენა; სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.

4.3. სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ,,თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი,, ხელმძღვანელობს და კოორდინირებას უწევს ფილიალების საქმიანობას. მათი მიზნებისა და ამოცანების, ახალი სასწავლო მეთოდების დანერგვა განხორციელებას.

მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტის მოძიება, წარმოჩენა, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში სხვადასხვა თაობის ჩართვა. სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება. გაზრდილი ქალაქის კულტურული აქტივობა.

4.4 სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 02)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ,,ვ. კუბლაშვილის სახელობის თერჯოლის სამუსიკო-საგანმანათლებლო სკოლა", სადაც მუსიკალურ განათლებას იღებს 184 ბავშვი, აქედან გოგო 125 და ბიჭი 59. ისინი შეისწავლიან ფორტეპიანოს, გიტარას, ვოკალს და მუსიკის თეორიას. სამხატვრო სკოლაში სწავლობს 85 მოსწავლე, აქედან გოგო 56 და ბიჭი 29. რომლებიც ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, დიზაინს, გამოყენებით ხელოვნებას, ხელოვნების ისტორიას. ცენტრის მხარდაჭერით ხორციელდება სხვადასხვა კონკურსებზე სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და მათი ნიჭის გამოვლენა. აქტუალურია სამუსიკო სკოლის შენობის კაპიტალური შეკეთება, ორივე სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე მოთხვნადია ხალხურ საკრავებზე დაკვრის შესწავლის შესაძლებლობის მიღება.

მიზანი: მოზარდთა მუსიკალური და სამხატვრო განათლების მიღება; ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების შვილებისთვის მუსიკალური და სამხატვრო განათლების მიღების შეუზღუდველობა.

4.5 ბიბლიოთეკები (პროგრამული კოდი 05 02 03)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ბიბლიოთეკის ხარჯები სუბსიდირების მუხლით. საჯარო ბიბლიოთეკა კოორდინაციას უწევს საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლოგრაფიულ მომსახურეობას, ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნების შესწავლასა და ანალიზს, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნასა და ინტერესების სრულად და ოპერატიულად დაკმაყოფილებას. საბიბლიოთეკო ფონდი შეადგენს 91305 წიგნს, ღირებულებით 215366 ლარი.

ბიბლიოთეკაში შეიქმნას ისეთი ფიზიკური და ვირტუალური საჯარო სივრცე, რომელიც იქნება ხელმისაწვდომი და მისაღები ყველასთვის; ბიბლიოთეკარების მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლება იმისათვის , რომ ისინი ჩამოყალიბდნენ საზოგადოებისთვის სანდო და კომპეტენტურ მრჩევლებად; უფასო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; ახალი ციფრული და ელ. სერვისების გავრცელება საჯარო და სასოფლო ბიბლიოთეკებში.

მიზანი:ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველასთვის; საქართველოს კულტურის, რელიგიის და ეთნიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება; გონივრული ბალანსის დაცვა გლობალიზაციის და ეროვნულ თვითმყობადობას შორის; უფასო ცოდნის, განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.მკითხველთა რაოდენობის გაზრდა და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნა.

4.6 კულტურის სახლები (პროგრამული კოდი 05 02 04)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში თერჯოლის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის

მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება, გასტროლი და სხვა მოტივაცია); სახელოვნებო დარგის სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.

მუნიციპალური ანსამბლების პოპულარიზაციის და განვითარების მიზნით დაგეგმილია გასტროლები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, ქართული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტუმების განახლება.

მიზანი: მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ფესტივალებში გამარჯვება. მუნიციპალიტეტის საზოგადოების კულტურული და სოციალური თვითშეგნების განვითარება. ფოლკლორული ანსამბლების ესთეტიკური და სახელოვნებო დონის გაუმჯობესება.

4.7 მუზეუმები (პროგრამული კოდი 05 02 05)

აღწერა: ამ ქვეპროგრამაში გაერთიანებულია დავით კლდიაშვილის და შალვა და პეტრე ამირანაშვილების მუზეუმები. მუზეუმები ანხორციელებენ სამეცნიერო კვლევით, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, მუზეუმების ფონდების აღრიცხვას, სისტემატიზაციას და დაცვას.

მიზანი: მუზეუმებში ტურისტთა მაღალხარისხობრივი მომსახურეობა. სამუზეუმო ექსპონანტების ზრდა, ტურისტთა რაოდენობის ზრდა.

4.8 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

აღწერა:პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ასევე დაფინანსდება ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები.

მიზანი: ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება.

4.9 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თერჯოლა–ტყიბულის ეპარქიის დაფინანსება.

მიზანი: რეაბილიტირებული ეკლესია მონასტრები.

4.10. საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 05)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ერთადერთი გაზეთ ,,თერჯოლა"–ში მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებისა და ინფორმაციების გამოქვეყნების, შეძენის დაფინანსება და მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში გავრცელება.

მიზანი: მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებისა და მიღებული გადაწყვეტილებების სწრაფი და მაღალხარისხობრივი გავრცელება მოსახლეობაში.

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1460.0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები/ ქვეპროგრამები/ და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1460,0**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	160,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	155,0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	5,0
06 02	სოციალური პროგრამები	1300,0
06 02 01	სოციალური დაცვა	1300,0

5.0 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 01)

აღწერა: მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება; ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.
პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი).
2. იმუნიზაციია.
3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა.
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის

დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

მიზანი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.

5.2 ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამბულატირიების შენობებს ესაჭიროება მცირე რემონტი. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ამბულატორიების შენობების მიმდინარე რემონტი.

მიზანი: თემების ტერიტორიაზე რეაბილიტირებული ამბულატორიის შენობები

5.3 სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

აღწერა: ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის ყოფითი საჭიროებებისათვის დახმარების გაწევა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის და საკრებულოს სხვადასხვა განკარგულებების საფუძველზე. კერძოდ: 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება. 2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარება. 3. ქალაქ თერჯოლაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობისის ნაწილი რომლებიც სარგებლობდა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი თანხებით. 4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარება.5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარება. 6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი უნარშეზღუდული ბავშვების დღის ცენტრების დაფინანსება. 7. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯეხების ფინანსური დახმარება. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტი ანხორციელებს ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამას, რითაც გათვალისწინებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მშობლებისათვის დახმარება. 8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა. აღნიშნული ითვალისწინებს სტიქიური და სხვა მოვლენების შედეგად სახლდაზიანებული ოჯახების დახმარებას. 9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე საკვები პროდუქტებით დახმარება. 10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება და სარიტუალო მომსახურეობა. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. თითოეულ გარდაცვლილ ომის ვეტერანზე 250 ლარის ოდენობით. 11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის ერთჯერადი თანადაფინანსება. აღნიშნულით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის (გარდა პლასტიკური ოპერაციებისა) ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება. 12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით და ფენილკეტონურიით დავადებულ ბავშვთა ოჯახების ფინანსური დახმარება. 13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება. 14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის პროგრამა. 15. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა. 16. უსახლკარო დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინით, ქირით უზრუნველყოფა.

მიზანი: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ ეკონონიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია. მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა. მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანმთელობის დაცვის ხელშეწყობა.

მუხლი 18. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

თავი III

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 19. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	19 817,1	26 883,0	16 723,8	10 159,2	27 207,2	17 920,4	9 286,8
	მომუშავეთა რიცხოვნება	178,0	178,0	178,0	-	178,0	178,0	-
	ხარჯები	11 980,8	16 409,7	14 933,4	1 476,3	18 642,7	16 237,0	2 405,7
	შრომის ანაზღაურება	1 880,2	2 915,1	2 814,3	100,8	3 521,7	3 341,7	180,0
	საქონელი და მომსახურება	2 043,2	2 941,2	1 741,2	1 200,0	3 328,7	1 813,0	1 515,7
	პროცენტები	30,0	28,7	28,7	-	32,0	32,0	-
	სუბსიდიები	6 673,7	8 551,0	8 472,0	79,0	9 698,0	9 543,0	155,0
	გრანტები	11,0	16,3	16,3	-	20,0	20,0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	999,5	998,1	997,9	0,2	873,0	848,0	25,0
	სხვა ხარჯები	343,2	959,3	863,0	96,3	1 169,3	639,3	530,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7 778,3	10 415,3	1 732,4	8 682,9	8 506,5	1 625,4	6 881,1
	ვალდებულებები	58,0	58,0	58,0	-	58,0	58,0	-
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2 910,4	4 363,5	4 262,7	100,8	5 141,0	4 956,0	185,0
	მომუშავეთა რიცხოვნება	178,0	178,0	178,0	-	178,0	178,0	-
	ხარჯები	2 844,1	4 071,6	3 970,8	100,8	4 836,0	4 651,0	185,0
	შრომის ანაზღაურება	1 880,2	2 915,1	2 814,3	100,8	3 521,7	3 341,7	180,0

	საქონელი და მომსახურება	837,7	978,2	978,2	-	1 103,0	1 103,0	-
	პროცენტები	30,0	28,7	28,7	-	32,0	32,0	-
	სუბსიდიები	-	-	-	-	5,0	5,0	-
	გრანტები	11,0	16,3	16,3	-	20,0	20,0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	7,3	37,7	37,7	-	35,0	30,0	5,0
	სხვა ხარჯები	77,9	95,6	95,6	-	119,3	119,3	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,3	233,9	233,9	-	247,0	247,0	-
	ვალდებულებები	58,0	58,0	58,0	-	58,0	58,0	-
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 822,2	4 269,3	4 168,5	100,8	4 970,0	4 785,0	185,0
	მომუშავეთა რიცხოვნება	178,0	178,0	178,0	-	178,0	178,0	-
	ხარჯები	2 813,9	4 035,4	3 934,6	100,8	4 723,0	4 538,0	185,0
	შრომის ანაზღაურება	1 880,2	2 915,1	2 814,3	100,8	3 521,7	3 341,7	180,0
	საქონელი და მომსახურება	837,5	970,7	970,7	-	1 023,0	1 023,0	-
	სუბსიდიები	-	-	-	-	5,0	5,0	-
	გრანტები	11,0	16,3	16,3	-	20,0	20,0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	7,3	37,7	37,7	-	35,0	30,0	5,0
	სხვა ხარჯები	77,9	95,6	95,6	-	118,3	118,3	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,3	233,9	233,9	-	247,0	247,0	-
01 01 01	თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო	556,3	855,5	855,5	-	977,0	977,0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	29,0	29,0	29,0		29,0	29,0	
	ხარჯები	556,3	855,5	855,5	-	977,0	977,0	-
	შრომის ანაზღაურება	423,4	687,5	687,5		786,7	786,7	
	საქონელი და მომსახურება	57,2	84,2	84,2	-	92,0	92,0	-
	სხვა ხარჯები	75,7	83,8	83,8		98,3	98,3	
01 01 02	თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია	2 161,7	3 252,2	3 252,2	-	3 808,0	3 808,0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	139,0	139,0	139,0		139,0	139,0	
	ხარჯები	2 153,4	3 018,3	3 018,3	-	3 561,0	3 561,0	-

	შრომის ანაზღაურება	1 353,4	2 066,4	2 066,4		2 555,0	2 555,0	
	საქონელი და მომსახურება	780,3	886,5	886,5	-	931,0	931,0	-
	გრანტები	11,0	16,3	16,3		20,0	20,0	
	სუბსიდიები	-	-			5,0	5,0	
	სოციალური უზრუნველყოფა	6,5	37,3	37,3		30,0	30,0	
	სხვა ხარჯები	2,2	11,8	11,8		20,0	20,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,3	233,9	233,9		247,0	247,0	
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	104,2	161,6	60,8	100,8	185,0	-	185,0
	მომუშავეთა რიცხოვნება	10,0	10,0	10,0		10,0	10,0	
	ხარჯები	104,2	161,6	60,8	100,8	185,0	-	185,0
	შრომის ანაზღაურება	103,4	161,2	60,4	100,8	180,0		180,0
	სოციალური უზრუნველყოფა	0,8	0,4	0,4		5,0		5,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	88,2	94,2	94,2	-	171,0	171,0	-
	ხარჯები	30,2	36,2	36,2	-	113,0	113,0	-
	საქონელი და მომსახურება	0,2	7,5	7,5	-	80,0	80,0	-
	პროცენტები	30,0	28,7	28,7	-	32,0	32,0	-
	სხვა ხარჯები	-	-	-	-	1,0	1,0	-
	ვალდებულებები	58,0	58,0	58,0	-	58,0	58,0	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი	-	-	-	-	50,0	50,0	-
	ხარჯები	-	-	-	-	50,0	50,0	-
	საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	50,0	50,0	-
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	-	-	-	-	1,0	1,0	-
	ხარჯები	-	-	-	-	1,0	1,0	-
	სხვა ხარჯები	-	-			1,0	1,0	
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	88,0	86,7	86,7	-	90,0	90,0	-
	ხარჯები	30,0	28,7	28,7	-	32,0	32,0	-
	პროცენტები	30,0	28,7	28,7		32,0	32,0	

	ვალდებულებები	58,0	58,0	58,0		58,0	58,0	
01 02 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	0,2	7,5	7,5	-	20,0	20,0	-
	ხარჯები	0,2	7,5	7,5	-	20,0	20,0	-
	საქონელი და მომსახურება	0,2	7,5	7,5	-	20,0	20,0	-
01 02 05	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	-	-	-	-	10,0	10,0	-
	ხარჯები	-	-	-	-	10,0	10,0	-
	საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	10,0	10,0	-
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7 762,7	9 345,2	2 363,0	6 982,2	8 465,4	2 071,0	6 394,4
	ხარჯები	636,7	1 168,2	1 089,8	78,4	1 295,0	725,0	570,0
	საქონელი და მომსახურება	636,7	841,4	763,0	78,4	750,0	710,0	40,0
	სხვა ხარჯები	-	326,8	326,8	-	545,0	15,0	530,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7 126,0	8 177,0	1 273,2	6 903,8	7 170,4	1 346,0	5 824,4
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	5 394,9	5 287,1	717,8	4 569,3	2 727,6	702,0	2 025,6
	ხარჯები	-	314,9	300,0	14,9	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	-	14,9	-	14,9	-	-	-
	სხვა ხარჯები	-	300,0	300,0		-		
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5 394,9	4 972,2	417,8	4 554,4	2 727,6	702,0	2 025,6
02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	631,6	1 420,1	210,6	1 209,5	1 762,8	382,6	1 380,2
	ხარჯები	149,5	192,6	192,6	-	220,0	220,0	-
	საქონელი და მომსახურება	149,5	192,6	192,6	-	220,0	220,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	482,1	1 227,5	18,0	1 209,5	1 542,8	162,6	1 380,2
02 03	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოტაცია	396,2	450,4	450,4	-	450,0	450,0	-
	ხარჯები	386,8	440,6	440,6	-	430,0	430,0	-
	საქონელი და მომსახურება	386,8	440,6	440,6	-	430,0	430,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,4	9,8	9,8		20,0	20,0	
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	382,8	1 171,0	657,6	513,4	2 490,0	191,4	2 298,6
	ხარჯები	25,6	155,6	155,6	-	580,0	50,0	530,0

	საქონელი და მომსახურება	25,6	128,8	128,8	-	50,0	50,0	-
	სხვა ხარჯები	-	26,8	26,8		530,0	-	530,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	357,2	1 015,4	502,0	513,4	1 910,0	141,4	1 768,6
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	700,0	715,0	25,0	690,0	700,0	10,0	690,0
	ხარჯები	74,8	64,5	1,0	63,5	50,0	10,0	40,0
	საქონელი და მომსახურება	74,8	64,5	1,0	63,5	50,0	10,0	40,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	625,2	650,5	24,0	626,5	650,0		650,0
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	257,2	301,6	301,6	-	335,0	335,0	-
	ხარჯები	-	-	-	-	15,0	15,0	-
	სხვა ხარჯები	-	-	-	-	15,0	15,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	257,2	301,6	301,6	-	320,0	320,0	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 436,4	2 946,5	2 946,5	-	2 650,0	2 650,0	-
	ხარჯები	2 370,7	2 782,4	2 782,4	-	2 650,0	2 650,0	-
	სუბსიდიები	2 370,7	2 782,4	2 782,4	-	2 650,0	2 650,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	65,7	164,1	164,1	-	-	-	-
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	2 436,4	2 946,5	2 946,5	-	2 650,0	2 650,0	-
	ხარჯები	2 370,7	2 782,4	2 782,4	-	2 650,0	2 650,0	-
	სუბსიდიები	2 370,7	2 782,4	2 782,4		2 650,0	2 650,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	65,7	164,1	164,1		-		
04 00	განათლება	3 981,1	6 819,5	3 822,5	2 997,0	7 385,8	4 853,4	2 532,4
	ხარჯები	3 415,6	4 989,8	3 771,9	1 217,9	6 301,7	4 826,0	1 475,7
	საქონელი და მომსახურება	566,3	1 121,6	-	1 121,6	1 475,7	-	1 475,7
	სუბსიდიები	2 849,3	3 771,9	3 771,9	-	4 821,0	4 821,0	-
	სხვა ხარჯები	-	96,3	-	96,3	5,0	5,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	565,5	1 829,7	50,6	1 779,1	1 084,1	27,4	1 056,7
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2 896,7	3 552,7	3 552,7	-	4 506,0	4 506,0	-
	ხარჯები	2 665,4	3 527,5	3 527,5	-	4 506,0	4 506,0	-

	სუბსიდიები	2 665,4	3 527,5	3 527,5	-	4 506,0	4 506,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	231,3	25,2	25,2	-	-	-	-
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	101,4	118,9	118,9	-	141,0	141,0	-
	ხარჯები	97,4	117,5	117,5	-	141,0	141,0	-
	სუბსიდიები	97,4	117,5	117,5		141,0	141,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,0	1,4	1,4		-		
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	2 795,3	3 433,8	3 433,8	-	4 365,0	4 365,0	-
	ხარჯები	2 568,0	3 410,0	3 410,0	-	4 365,0	4 365,0	-
	სუბსიდიები	2 568,0	3 410,0	3 410,0		4 365,0	4 365,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	227,3	23,8	23,8		-		
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	284,4	1 795,5	16,4	1 779,1	1 084,1	27,4	1 056,7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	284,4	1 795,5	16,4	1 779,1	1 084,1	27,4	1 056,7
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	613,1	1 217,9	-	1 217,9	1 480,7	5,0	1 475,7
	ხარჯები	566,3	1 217,9	-	1 217,9	1 480,7	5,0	1 475,7
	საქონელი და მომსახურება	566,3	1 121,6	-	1 121,6	1 475,7	-	1 475,7
	სხვა ხარჯები	-	96,3		96,3	5,0	5,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	46,8	-			-		
04 04	სკოლისგარეშე განათლება	186,9	253,4	253,4	-	315,0	315,0	-
	ხარჯები	183,9	244,4	244,4	-	315,0	315,0	-
	სუბსიდიები	183,9	244,4	244,4		315,0	315,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,0	9,0	9,0		-		
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	1 382,0	1 924,9	1 924,9	-	2 105,0	2 105,0	-
	ხარჯები	1 369,2	1 914,3	1 914,3	-	2 105,0	2 105,0	-
	საქონელი და მომსახურება	2,5	-	-	-	-	-	-
	სუბსიდიები	1 345,1	1 858,6	1 858,6	-	2 055,0	2 055,0	-
	სხვა ხარჯები	21,6	55,7	55,7	-	50,0	50,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12,8	10,6	10,6	-	-	-	-

05 01	სპორტის სფეროს განვითარება	456,8	603,7	603,7	-	700,0	700,0	-
	ხარჯები	454,0	597,6	597,6	-	700,0	700,0	-
	სუბსიდიები	450,5	584,3	584,3	-	680,0	680,0	-
	სხვა ხარჯები	3,5	13,3	13,3	-	20,0	20,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,8	6,1	6,1	-	-	-	-
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	3,5	13,3	13,3	-	20,0	20,0	-
	ხარჯები	3,5	13,3	13,3	-	20,0	20,0	-
	სხვა ხარჯები	3,5	13,3	13,3		20,0	20,0	
05 01 02	სპორტული სკოლა	453,3	590,4	590,4	-	680,0	680,0	-
	ხარჯები	450,5	584,3	584,3	-	680,0	680,0	-
	სუბსიდიები	450,5	584,3	584,3		680,0	680,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,8	6,1	6,1		-		
05 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	829,6	1 053,8	1 053,8	-	1 245,0	1 245,0	-
	ხარჯები	819,6	1 049,3	1 049,3	-	1 245,0	1 245,0	-
	სუბსიდიები	819,6	1 049,3	1 049,3	-	1 245,0	1 245,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,0	4,5	4,5	-	-	-	-
05 02 01	სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	140,3	213,2	213,2	-	244,0	244,0	-
	ხარჯები	137,6	210,5	210,5	-	244,0	244,0	-
	სუბსიდიები	137,6	210,5	210,5		244,0	244,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,7	2,7	2,7		-		
05 02 02	სახელოვნებო სკოლები	208,0	245,3	245,3	-	273,0	273,0	-
	ხარჯები	208,0	245,3	245,3	-	273,0	273,0	-
	სუბსიდიები	208,0	245,3	245,3		273,0	273,0	
05 02 03	ბიბლიოთეკები	123,1	154,2	154,2	-	205,0	205,0	-
	ხარჯები	117,3	152,4	152,4	-	205,0	205,0	-
	სუბსიდიები	117,3	152,4	152,4		205,0	205,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,8	1,8	1,8		-		
05 02 04	კულტურის სახლები	293,6	366,4	366,4	-	435,0	435,0	-

	ხარჯები	292,1	366,4	366,4	-	435,0	435,0	-
	სუბსიდიები	292,1	366,4	366,4		435,0	435,0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,5	-			-		
05 02 05	მუზეუმები	64,6	74,7	74,7	-	88,0	88,0	-
	ხარჯები	64,6	74,7	74,7	-	88,0	88,0	-
	სუბსიდიები	64,6	74,7	74,7		88,0	88,0	
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	20,6	42,4	42,4	-	30,0	30,0	-
	ხარჯები	20,6	42,4	42,4	-	30,0	30,0	-
	საქონელი და მომსახურება	2,5	-	-	-	-	-	-
	სხვა ხარჯები	18,1	42,4	42,4		30,0	30,0	
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეყწობა	20,0	170,0	170,0	-	65,0	65,0	-
	ხარჯები	20,0	170,0	170,0	-	65,0	65,0	-
	სუბსიდიები	20,0	170,0	170,0		65,0	65,0	
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	55,0	55,0	55,0	-	65,0	65,0	-
	ხარჯები	55,0	55,0	55,0	-	65,0	65,0	-
	სუბსიდიები	55,0	55,0	55,0		65,0	65,0	
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 344,5	1 483,4	1 404,2	79,2	1 460,0	1 285,0	175,0
	ხარჯები	1 344,5	1 483,4	1 404,2	79,2	1 455,0	1 280,0	175,0
	სუბსიდიები	108,6	138,1	59,1	79,0	167,0	12,0	155,0
	სოციალური უზრუნველყოფა	992,2	960,4	960,2	0,2	838,0	818,0	20,0
	სხვა ხარჯები	243,7	384,9	384,9	-	450,0	450,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	5,0	5,0	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	88,6	127,5	48,5	79,0	160,0	5,0	155,0
	ხარჯები	88,6	127,5	48,5	79,0	155,0	-	155,0
	სუბსიდიები	88,6	127,5	48,5	79,0	155,0	-	155,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	5,0	5,0	-
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	88,6	127,5	48,5	79,0	155,0	-	155,0
	ხარჯები	88,6	127,5	48,5	79,0	155,0	-	155,0

	სუბსიდიები	88,6	127,5	48,5	79,0	155,0		155,0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	-	-	-	-	5,0	5,0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-			5,0	5,0	
06 02	სოციალური პროგრამები	1 255,9	1 355,9	1 355,7	0,2	1 300,0	1 280,0	20,0
	ხარჯები	1 255,9	1 355,9	1 355,7	0,2	1 300,0	1 280,0	20,0
	სუბსიდიები	20,0	10,6	10,6	-	12,0	12,0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	992,2	960,4	960,2	0,2	838,0	818,0	20,0
	სხვა ხარჯები	243,7	384,9	384,9	-	450,0	450,0	-
06 02 01	სოციალური დაცვა	1 255,9	1 355,9	1 355,7	0,2	1 300,0	1 280,0	20,0
	ხარჯები	1 255,9	1 355,9	1 355,7	0,2	1 300,0	1 280,0	20,0
	სუბსიდიები	20,0	10,6	10,6		12,0	12,0	
	სოციალური უზრუნველყოფა	992,2	960,4	960,2	0,2	838,0	818,0	20,0
	სხვა ხარჯები	243,7	384,9	384,9		450,0	450,0	

თავი IV

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 20. ასიგნებების დაფინანსება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 21. ასიგნებების გადანაწილება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 22. კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემლების ანაზღაურება

2023 წლის განმავლობაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 23. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 25. დავალიანებების ანაზღაურება

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 02 02-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2023 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 26. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 360000 ლარი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფებამოსილების განსახორციელებლად.

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 155 000 ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 185000 ლარი.

გ)„სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 500 ლარი.

დ) ბავშვის უფლებათა კოდექსით და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებული ღონისძიებები 19500 ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

3. ასევე დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერია 1475,7 ათასი ლარი. რომლითაც დაფინანსდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება 1475,7 ათასი ლარით.

მუხლი 27. სარეზერვო ფონდი

2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 50.0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.